ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6585569

ნომერი: AR1979549

თარიღი : 20.07.2023

გაცემის თარიღი : 27.07.2023

გაცნობის თარიღი : 28.07.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მინდელი , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ნორაკიძე პ/ნ 42001031344
- ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ N108

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 20 ივლისს №AR1979549 განცხადებით მომართა ნინო ნორაკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №6055802 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №6055802 ბრძანებით ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა №11-ში მდებარე №01.14.05.005.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის („დ“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 ივლისიდან 2024 წლის 27 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 05 მაისის №6448841 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №6055802 ბრძანებაში და შეთანხმებულ გეგმებს დაემატა ტექნიკური შეცდომის შედეგად გამორჩენილი 0.00 და +2.95 ნიშნულების გეგმები. ასევე, ამოღებულ იქნა 2022 წლის 10 ივნისის №AR1905589 განცხადებაზე გეგმების „პდფ“ ფაილის გრაფაში წარმოდგენილი „პდფ“ ფაილის 9, 10 და 11 გვერდები (დამატებით, სამჯერ არასწორად წარმოდგენილი ერთი და იგივე -3.1 ნიშნულის გეგმა).
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №6055802 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელს სურს ბრძანებაში ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 378.8 კვ.მ.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ღია ავტოსადგომები ეკუთვნის „ც“ ბლოკს. შესაბამისად, აღნიშნული ღია ავტოსადგომების „დ“ ბლოკისთვის დაფიქსირება ვერ მოხდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მოთხოვნილი ღია ავტოსადგომები განკუთვნილია „ც“ ბლოკისთვის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 27 ივლისის №6055802 გადაწყვეტილებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.